იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5131/22**

20 დეკემბერი, 2022წ.

ბ-ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

**საგანი: მოთხოვნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, BTC პროექტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაასრულა სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია 208 კვ.მ მიწის ფართობზე, რომელსაც მიენიჭა ს/კ N64.29.04.479.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები, რათა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს (ს/კ 204992785), 2022 წლის 4 ნოემბრის წერილში (იხ დანართი) განსაზღვრული მიზნებისათვის - ნავთობის დაღვრის შემაკავებელი ობიექტების და მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაცია - საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 18-წლის ვადით, სარგებლობაში გადასცეს ს/კ N64.29.04.79 მიწის ნაკვეთის სრული ფართობი - 208.00 კვ.მ.

მადლობას მოგახსენებთ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს) 2022 წლის 4-ნოემბრის წერილის (BTC/OUT/5115/22) ასლი.

იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5115/22**

4 ნოემბერი, 2022წ.

ბ-ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

**საგანი: მოთხოვნა მიწის ფართობებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველად რეგისტრაციაზე, BTC პროექტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო გიორგი,

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) პროექტის ფარგლებში, კერძოდ, მდ. ოშორას მარჯვენა ფერდთან დაგეგმილია მოეწყოს რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი. კოდიანას ნავთობის დაღვრის მეორადი შემაკავებელი ობიექტამდე და BTC-ის ნავთობსადენამდე მოხრეშილი მისასვლელი გზის აღდგენის მიზნებისთვის (იხ. თანდართული მოკლე ტექნიკური აღწერილობა), რამაც უნდა უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული ობიექტების უსაფრთხოდ ოპერირება, შეიქმნა 2 მიწის ფართობზე (208 კვ.მ., და 2719 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის აუცილებლობა (მოხსენიებული ტერიტორია მილსადენიდან დაშორებულია 258-მეტრით, შესაბამისად, მოხვედრილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილებით განსაზღვრულ მილსადენის უსაფრთხოების 3-ზონაში).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წინამდებარე განცხადებაში მოხსენიებული მიწის შესაბამის ფართობებზე (208 კვ.მ., და 2719 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის მოთხოვნით, რომლის დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო) (ს/კ 204992785) განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 1-მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 1-წლის ვადით (მშენებლობის პერიოდში), ხოლო მეორე მიწის ნაკვეთის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 18-წლის ვადით (ექსპლუატაციის პერიოდში), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს სასარგებლოდ დატვირთვის მოთხოვნით.

მადლობას მოგახსენებთ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

- 2 მიწის ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი - 4 გვ. და 2 CD.
- შესასრულებელი სამუშაოების მოკლე ტექნიკური აღწერილობა.

**შესასრულებელი სამუშაოების მოკლე ტექნიკური აღწერილობა**

სამშენებლო უბანი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ციხისჯვარის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ოშორასთან. აღნიშნულ მონაკვეთში მოხრეშილი გზა მიყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს. დროთა განმავლობაში მდინარემ გამორეცხა გზის სავალი ნაწილი, რაც საფრთხეს უქმნის არსებულ გზაზე უსაფრთხოდ გადაადგილებას.

საპროექტო ღონისძიება ითვალისწინებს რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობას, მდინარე ოშორას მარჯვენა ფერდთან. საყრდენი კედლის სიგრძე შეადგენს 83,85მ-ს.

სამუშაოს მიზანია მდინარის მარჯვენა ფერდის დაცვა ეროზიული პროცესებისგან, რაც თავის მხრივ დაიცავს მდინარის მარჯვენა ნაპირთან გამავალ გზას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის შემდეგ მოხდება მისასვლელი მოხრეშილი გზის აღდგენა.

რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოცულობა არის 187.5 მ3

არსებული გზის აღსადგენად ფრაქციული ღორღის მოცულობა არის 260 მ3.